პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 10 აპრილი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 9 (285). ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გავხადოთ მხატვრული პროზა ბასრ იარაღად ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში

[illegible] ტერატურული საზოგადოებრიობა, მწერალთა აქტივი სავსებით მომზადებული შეხვდეს ამ თათბირს. ყოველი მხატვრული ნაწარმოები იმ მწერალთა მიერ, რომელთაც თათბირში მონაწილეობა სურთ, გულმოდგინედ უნდა იქნეს შესწავლილი. ჩვენი პროზის როგორც ღირსების, ისე ნაკლის საფუძვლიანი გათვალისწინება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მხატვრული შემოქმედების ამ ურთულესი ჟანრის შემდგომი წინსვლისათვის. ჩვენი მოვალეობა და მოწოდებაა—მხატვრული პროზა გავხადოთ უფრო მახვილ, ბასრ იარაღად ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ორი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოთხრობა მკითხველზე მხატვრული ზეგავლენის ყველაზე ოპერატიული ფორმაა. თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოთხრობას ჩვენი საზოგადოებრიობა, ეს იქიდან ჩანს, რომ გაზეთი „პრავდა“ და „იზვესტია“ სამამულო ომის ფრონტებიდან მიღებული ცნობების, სხვა შინაური და საზღვარგარეთული უამრავი საინტერესო ინფორმაციის მოზღვავების პირობებში სისტემატურად პოულობენ ადგილს თავიანთ ფურცლებზე მოთხრობებისა და ნოველების მოსათავსებლად. ხშირად ჩვენს გაზეთებში მოთავსებული მოთხრობები უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა ხალხის—მეომრებისა და ზურგის მუშაკთა საბრძოლო სულისკვეთების გაღვივებისა და გაძლიერების საქმეში. მცირე მოცულობა, ფორმის სისადავე, მცირე დრო, რომელიც მოთხრობის წაკითხვასა და ათვისებას სჭირდება,—ყველა ეს თვისება დიდად უწყობს ხელს მოთხოვნილების ზრდას მოთხრობაზე და მოთხრობის გავრცელებას მკითხველთა ფართო მასებში.

ჩვენმა მწერლობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მკითხველთა ამ მოთხოვნილების ზრდას და იზრუნოს მოთხრობის კულტურის ამაღლებისათვის. ამ ორი წლის მანძილზე ჩვენში მრავალი მოთხრობა გამოქვეყნდა. თითქმის ყველა ჩვენმა პროზაიკოსმა, ახალგაზრდამ და ხნიერმა სცადა დაეწერა მოთხრობა იმ მასალაზე, რომელსაც ესოდენ უხვად იძლევა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. რაოდენობის მხრივ ჩვენი პროზაიკოსების მიმართ მაინც და მაინც საყვედური არ გვეთქმის, მაგრამ მხატვრული ღირსების თვალსაზრისით გამოქვეყნებულ მოთხრობათა დიდი ნაწილი უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ამ მოთხრობათა ავტორები იშვიათად სცდილობენ დასძლიონ ბანალობა, გაცვეთილი სიტყვების ინერცია და ავტომატიზმი პერსონაჟთა დახასიათებასა და სიუჟეტის გაშლაში.

როგორც ცნობილია, არ არსებობს არც ცუდი და არც ბანალური თემა, არსებობენ მხოლოდ ცუდი და ბანალური მოთხრობები. ეგრეთწოდებული თემის გაცვეთილობა წარმოადგენს იმ ცუდ მოთხრობათა მოჭარბების დამამტკიცებელ საბუთს, რომლებიც ამ თემას ამუშავებენ და მას გარშემო უტრიალებენ. ერთსა და იმავე თემაზე ნაწარმოებების სიჭარბე მოწმობს მხოლოდ ამ თემის დიდ მნიშვნელობას და უაღრეს აქტუალობას. ლაპარაკი თემის გაცვეთილობაზე ფუჭი და მავნე ლაპარაკია, რომელიც გზა-კვალს უბნევს მწერალს. სხვადა- [illegible] პროზაიკოსების მოთხრობები ძალიან გვანან ერთმანეთს, გვანან არა მარტო იმიტომ, რომ ხშირად ერთნაირ მდგომარეობასა და სიტუაციებს აგვიწერენ, არამედ იმიტომ, რომ ეს სიტუაციები არ არიან გატარებული მწერლის საკუთარ შემოქმედებითს ქურაში, არ არიან გამთბარი შემოქმედებითი ცეცხლით და ეს სიტუაციები მოთხრობიდან ისე გამოიყურებიან, როგორც ჩონჩხები, ხოლო ჩონჩხები, როგორც ცნობილია, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. კლასიკური ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ მრავალი მშვენიერი მოთხრობა, ერთნაირ თემასა და სიტუაციაზე აგებული, მაგრამ ამ მოთხრობებში თვალში გვეცემათ არა მსგავსება, არამედ განსხვავება, იმდენად ღრმად ინდივიდუალური არიან ისინი. სუსტი მოთხრობების ავტორები არავითარ მხატვრულ ამოცანას არ სწყვეტენ, ისინი არავითარ დაბრკოლებას არ სძლევენ. მეტწილად მოთხრობებს სწერენ მექანიკურად, მათ გამომუშავებული აქვთ ერთგვარი მარტივი ხერხი მოთხრობების წერისა: აიღებენ რაიმე თეზისს და შემდეგ ცდილობენ პრიმიტიული „მხატვრული არგუმენტაცია“ მოსძებნონ ამ თეზისის დასამტკიცებლად. ასეთი მოთხრობა ძალზე დაშორებულია ცხოვრებას. ავტორი სავსებით კმაყოფილდება იმით, რასაც წარმოადგენს მზამზარეული აბსტრაქციების შემოზღუდული სისტემა. აბსტრაქციების სისტემას ზოგიერთ მწერალში მაგრათ დაუხშავს კარი ცოცხალი გამოცდილებისათვის, ცოცხალი გრძნობისათვის. ბევრი ჩვენი პროზაიკოსი იშვიათად თუ დაფიქრდება იმაზე, რომ გამოსძებნოს ახალი სიტყვა, ახალი სახე გმირი მეომრის სიმამაცის ან სტახანოველის შრომითი ენტუზიაზმის გამოსახატად, ამის შედეგია სწორედ ის უფერული მოთხრობები, რომლებშიც მოცემულ სურათებს ვერ მოუძებნით შესატყვისს სინამდვილეში.

ეს ნაკლი ახასიათებს ამ ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებთა საგრძნობ ნაწილს. ეს ნაკლი და მისი მიზეზები ყოველმხრივ და საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი და გამომჟღავნებული. ამ ნაკლის დაძლევა გულისხმობს დიდ და ღრმა მუშაობას თავისთავზე, სიტყვისა და სახის დაუფლებას, გულისხმობს ჩვენი სინამდვილის გულმოდგინედ და ზედმიწევნით შესწავლას, რაც წარმოუდგენელია ისე, თუ თვით მწერალი არ არის საბჭოთა ხალხის შრომის და ბრძოლის უშუალო მონაწილე და შემოქმედი. აქეთკენ უნდა მიმართონ მთელი თავიანთი გულისყური მხატვრული პროზის დარგში მომუშავე შემოქმედებითმა ძალებმა. საბჭოთა ხალხის საარაკო გმირული შრომა და საზღაპრო სიმამაცე, სიმტკიცე და შეუპოვრობა ბრძოლის ველზე, იძლევა დაუშრეტელ მასალას წარმტაცი, ამაღელვებელი მოთხრობების და ნოველების დასაწერად. მაგრამ კარგი მოთხრობა ვერ დაიწერება თუ ჩვენი სინამდვილის დიადი ფაქტები მწერლის მიერ უშუალოდ განცდილნი და მის გრძნობა-გონებაში გატარებული არ იქნება. მხატვრული პროზის კულტურის ამაღლების ამოცანა მწერლებისაგან მოითხოვს მჭიდრო და ორგანიულ კავშირს, დიად გმირ მებრძოლ საბჭოთა ხალხთან.

### „მამულო, სიცოცხლეო“

სახელგამმა ეხლახან გამოსცა სახალხო პოეტ გალაქტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „მამულო, სიცოცხლეო“. კრებულში მოთავსებულ ლექსების მეტი წილი დაკავშირებულია სამამულო ომთან და საბჭოთა ხალხის დიად პატრიოტულ სულისკვეთებასთან.

კრებულში მოთავსებულია შემდეგი ლექსები: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „მთის გულისცემა“, „გმირს გაუმარჯოს“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „ელგუჯას დაბრუნება“, „მშობლიური მოწოდებით“, „თავდადებული მილიონები“, „რაც სარაცინს წინად“, „მამულო, სიცოცხლეო“, „მასთან ბრძოლა“, „გასტელო“, „ჩანგო“, „ძმებო“, „დიდი არმია“, „ირაკლის ხმალი“, „მებრძოლი პოეტი“, „პირველი მაისი“, „ომს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა“, „სამშობლოს გზას მრავალფერს“, „სამშობლოს წინსვლა“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „რწმენით იარ“, „ჰე, მამულო“, „შრომით ისევ აღდგენილი“ და სხვ.

„მამულო, სიცოცხლეო“ გამოცემულია ლამაზად, გარეკანზე მოთავსებულია პოეტის სურათი, შეიცავს 56 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

### „გვადი ბიგვა“

სახელგამმა გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის მწერალ ლეო ქიაჩელის რომანის „გვადი ბიგვა“ (მეორე გამოცემა).

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ილუსტრირებულია მხატვარ მ. ბერძენიშვილის მიერ და ღირს 13 მანეთი.

## შ უ რ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი

### კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი

ექვსი ერთი-მეორეზე უკეთესი ვაჟიშვილი გაუზარდა სამშობლოს მოხუცმა კოლმეურნემ, სამსონ ლურსმანაშვილმა.

ქართველი გლეხის შრომისმოყვარე ოჯახმა ექვსი კარგი მამულიშვილი მისცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას და როდესაც მუხანათი მტერი ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას დაემუქრა, ექვსი ძმა ერთად მიაშველა სამშობლოს ერთგულ დამცველებს.

მოსისხლე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირულად დაეცა ოთხი ძმა ლურსმანაშვილი, მეხუთე—ჭრილობებს იშუშებდა ჰოსპიტალში, როდესაც მეექვსეს, ვლადიმერს, მოხუცმა მამამ საომარი გზა დაულოცა.

იგი ცდილობდა დაემალა თვალზე უნებურად მომდგარი ცრემლი.

— შური იძიე, ბიჭო! მტრის ჯავრს სამარეში ნუ ჩამატან!—მხოლოდ ეს უთხრა და მუხის ქერქივით დაღარული ხელი იმედიანად გაუწოდა.

და შვილმაც შეჰფიცა:

— ერთში—ათი, მამაჩემო, პირობას გაძლევ!

ასე გაუდგა სამამულო ომის დიდ გზას პოლიტხელი ვლადიმერ ლურსმანაშვილი.

* * *

ბრძოლის ველზე გასვლის პირველ დღიდანვე ლურსმანაშვილის მგზნებარე ბოლშევიკურმა სიტყვამ, პირადმა ვაჟკაცობამ მტკიცედ შეჰკრა და შეადუღა მისი ასეული და ყოველ მებრძოლს გულში სამუდამოდ ჩაუნერგა გერმანელ დამპყრობლებისადმი ჩაუქრობელი სიძულვილი.

როგორც კარგმა მონადირემ ნადირის გეში და ყველა ასავალ-დასავალი იცის, ლურსმანაშვილმაც ისე იცოდა სად რას ვარაუდობდა, სად რას თვალთმაქცობდა, სად რას განიზრახავდა გაიძვერა მტერი.

ამიტომ იგი ხშირად ახერხებდა ძნელი ბრძოლის მოგებას. მისი ქვეგანაყოფი მუდამ პირველი იწყებდა იერიშს და უკანასკნელი გამოდიოდა ბრძოლიდან. რამდენჯერ მიუხდა იგი უშიშრად გერმანელთა თავდაცვას, არივ-დარია მათი საბრძოლო რიგები და ხელი მოუმართა, გზა გაუკვალა ჩვენს მოიერიშე ჯარებს.

ყაბარდოს ერთ-ერთ სოფელში გამაგრებული მტერი დიდხანს აფერხებდა ჩვენი მსროლელი შენაერთის წინსვლას. სოფლის ყველა მისადგომი, ყველა გზა და ბილიკი ისე ჰქონდა გამოთოფილი, რომ კაცი ვერსაიდან მიუდგებოდა.

გაბედულად მოწყობილმა დაზვერვამ ლურსმანაშვილს გზა აჩვენა, საიდან შეიძლებოდა სოფელში შეპარვა.

შუაღამისას, როდესაც ჩვენი ჯარების შეტევის მოლოდინში, გერმანელები ახალ-ახალ რაზმებს აშველებდნენ სოფლის განაპირა უბნებს, სოფლის შუაგულში შეჭრილმა ლურსმანაშვილის ოცეულმა ისეთი სროლა ასტეხა ოთხსავ მხარეს, რომ მტერს ორი ათეული მებრძოლი ორი ათას კაცად მოაჩვენა.

მტერი დაფრთხა. თავდაცვა მოშლილი ეგონა და საომარი წესრიგი დაჰკარგა, რითაც მყისვე ისარგებლეს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა. მათმა სწრაფმა შეტევამ გერმანელები გადათელა და სოფელი გასწმინდა ფაშისტურ უწმინდურებისაგან.

ამ ღამის შეტაკებაში მარტო ლურსმანაშვილის ოცეულმა სამოცდათხუთმეტი ფაშისტი გაჟლიტა, ხოლო მამაცი პოლიტხელის პირად საბრძოლო ანგარიშში ოცდაორი მოკლული გერმანელი ჩაიწერა.

როგორც მეთაურს, ლურსმანაშვილს კიდევ ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, რა საშური საქმეც უნდა ჰქონოდა, რა ხიფათიც უნდა შეხვედროდა, მისი ფხიზელი, დაკვირვებული თვალი მუდამ იმახსოვრებდა ყოველ უბრალო წვრილმანს, უმნიშვნელო ამბავს, რომელიც ერთის შეხედვით თითქოს უსარგებლო იყო, მაგრამ იგი სწორედ მაშინ გამოსდგომია ლურსმანაშვილს, როცა თვითონაც არ ელოდა.

ერთხელ მისი ოცეული საბრძოლო დაზვერვაში იყო. მტრისაგან დაკავებულ სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ლურსმანაშვილმა მებრძოლები ბუჩქნარს შეაფარა და თვითონ ოთხი ნაცადი მებრძოლის თანხლებით დაწინაურდა.

ისინი უხმოდ მიცურავდნენ სიმინდებში, როცა საცალფეხო ბილიკზე სოფლელი კაცი გამოჩნდა.

ლურსმანაშვილმა მაშინვე შეაჩერა იგი.

— საიდან, ძმობილო!

— წისქვილში ვიყავ, — მშვიდად მიუგო უცნობმა.

— წისქვილში? რისთვის?!

— რისთვისაც წისქვილში დადიან! საფქვავი მივიტანე, — გაეღიმა უცნობს, თითქოს გაუკვირდა რომ ამგვარ გულუბრყვილო რამეს ეკითხებოდნენ.

— ხელები ზევით! — ჩურჩულით უბრძანა ლურსმანაშვილმა და გამოცდილი თვალი შეავლო უცნობს.

ლურსმანაშვილს მოაგონდა გუშინდელი ღამე, როდესაც მდინარის ნაპირებს ზვერავდა, კარგად ახსოვს, იმ წისქვილს ბორბალი მომტვრეული ჰქონდა. მეტად საეჭვო იყო, გუშინდელს აქეთ მისი შეკეთება ვინმეს მოესწრო.

და მართლაც, წისქვილიდან მომავალი კაცი გადაცმული ფაშისტი აღმოჩნდა.

ტყვილი სიმინდის მაგივრად, ლურსმანაშვილმა სიმართლე დააფქვევინა მას.

ფაშისტი გამოტყდა, რომ ეხლა წისქვილში ორმოცი გერმანელი მეავტომატე იყო ჩასაფრებული.

ლურსმანაშვილმა თვალის დახამხამებაში ალყა შემოავლო წისქვილს... შეტაკება ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი იყო. ათიოდე ქართველმა მებრძოლმა ორმოცივე ფაშისტი ერთმანეთს დააკლა.

განა ერთხელ სცადა მტერმა ჩვენი მზვერავების მოტყუება!

... იმ დილით გარემოცვიდან გამოსულმა ლურსმანაშვილმა და მისმა მებრძოლებმა თვალი მოჰკრეს სასაფლაოსაკენ მიმავალ სოფლელებს. რამდენიმე მოხუცი კაცი და ქალი მიცვალებულს მიასვენებდა.

გასვენება — გასვენებასა ჰგავდა. წინათაც უნახავს ლურსმანაშვილს, როგორ მარხავენ მთიელები მიცვალებულს, და სწორედ იმიტომ რომ უნახავს, ეხლა რაღაც ჭკუაში არ დაუჯდა: ჭირისუფლებს მეტისმეტი ვაი-ვიში გაებათ. მზვერავის გუმანმა არც ეხლა უღალატა ლურსმანაშვილს.—და რა გამოირკვა!

მიცვალებულს საფლავში თან მიჰქონდა ბევრი ისეთი რამ, რაც საიქიოში მიმავალს არასოდეს არა სჭირდება. ყოველ შემთხვევაში რუკა და ფოტოაპარატი სულის საცხონებლად ვერ გამოადგებოდა.

და „მიცვალებულიც“ მალე გაცოცხლდა.

იგი აღმოჩნდა თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი გერმანელი ჯაშუში, რომელსაც გადაცმული ფაშისტი არამზადები ჩვენი ჯარის ზურგში უპირებდნენ შემოგზავნას.

* * *

ცხრამეტჯერ გაუძღვა იერიშზე ლურსმანაშვილი თავის ქვეგანაყოფს და ცხრამეტი გამარჯვება შეჰმატა ჭაღარა კავკასიონის შეუპოვარ დამცველებს.

მაგრამ ყველაზე სახელიანი ბრძოლა მისმა ქვეგანაყოფმა ბალყარეთის მთებში გადაიხადა, როდესაც ლურსმანაშვილის მხედრულ უნარზე, მამაცობაზე, გაუტეხელ სიმტკიცეზე მთელი შენაერთის ბედიღბალი ეკიდა.

მძიმე ბრძოლების იმ მღელვარე დღეებში, დროებითი წარმატებით თავბრუდახვეულმა მტერმა თერგი გადმოლახა და ამიერ-კავკასიის მადლიან მიწისკენ გაიწოდა მურდალი ხელი.

დიდი სისხლის ფასად გერმანელებმა ხელთ იგდეს ერთი ხეობის კლდეკარი და ჩვენს დანაყოფებს გარემოცვის საფრთხე შეუქმნეს.

საჭირო იყო სწრაფი, გადამწყვეტი მოქმედება, და ლურსმანაშვილის ქვეგანაყოფის ოცდაშვიდმა რჩეულმა ვაჟკაცმა, ყინვასა და ქარბუქში, მუხლდაუსვენებლად გადაიარეს გალესილი კლდეები, დათოვლილი მწვერვალები...

მგლური ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ისინი დანისპირივით ვიწრო ბილიკებს, პირდაღებულ ნაპრალებს; ეშურებოდნენ, რაც შეიძლება მალე გასულიყვნენ ხეობაში, საიდანაც მტერი ძეხორციელის გამოჩენას ვერ იფიქრებდა.

განთიადისას ლურსმანაშვილმა თვალი მოჰკრა ქვიტკირის მაღალ შენობაზე ამართულ დროშას: ოთხთავიან გველივით დაგრეხილი ფაშისტური სვასტიკა შავად დასცქეროდა სოფელს.

— ან ეს უნდა ჩამოვიღოთ, ან მტერს შევაკვდეთ ყველანი!—მიმართა ლურსმანაშვილმა ოცდაშვიდ ვაჟკაცს და მათაც უთქმელად დაუდასტურეს გულისნადები უშიშარ მეთაურს.

ზვავი რომ მოსწყდება მოულოდნელად, ისე დაეშვნენ ციცაბოზე ფიცხი ქართველები და სოფელში შეიჭრნენ.

წინდაწინვე იცოდნენ, ბრძოლა იქნებოდა ულმობელი და უთანასწორო, რადგან სოფელს გერმანელთა გაძლიერებული ბათალიონი იცავდა.

ამიტომ ერთი ათად, ერთი ასად გამრავლდა ქართველების ძალ-ღონე და ისეთი ხელჩართული ბრძოლა გამართეს, რომ მარტო ერთმა ლურსმანაშვილმა მზე დაუბნელა ოცდაათ გერმანელს.

ბრძოლის ხმაურში, სროლასა და ჩეხვაში მებრძოლებს ესმოდათ მისი შურისმგებელი ძახილი:

— „ეს ჩემი ძმის სამაგიეროდ... ესეც ჩემი ძმისათვის... ესეც“—იძახდა იგი, როცა გულგანგმირულ ჰიტლერელს უსულოდ დასცემდა მიწაზე.

მეთაურს მხარში ედგნენ მისი შეფიცული მებრძოლები, უფროსი ლეიტენანტი ლაპიაშვილი, მეკავშირე გახარია, წითელარმიელი ქელეხსაშვილი, რომლებმაც პირველდაკვრისთანავე ორმოცდახუთი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოასალმეს წუთისოფელს.

შუადღემდე გაგრძელდა სისხლისმღვრელი ბრძოლა.

ლურსმანაშვილის მოიერიშე ჯგუფმა გერმანელთა ორი ასეული მთლიანად გაჟლიტა და საბჭოთა ჯარებს ხეობის კლდეკარი გაუღო.

ასე იბრძოდა კავკასიონის მისადგომებზე ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, ვლადიმერ ლურსმანაშვილი: იბრძოდა იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის სამკალად შემოსულ ყანებში ტრაქტორის ნაცვლად ტანკი დაბობლავდა, ცელის მაგივრად ხიშტი ელავდა... დაგვალულ მიწას შავი ცეცხლი რწყავდა.

იბრძოდა იმიტომ, რომ ქალაქად თუ სოფლად, მთაში თუ ბარში, სადაც-კი გერმანელი დამპყრობელი გაივლიდა, ყველგან სისხლის ნაგუბარი რჩებოდა...

სისხლი კი სისხლს ითხოვდა. და ვლადიმერ ლურსმანაშვილმაც პირნათლად შეასრულა მამისადმი მიცემული ფიცი: მტერს არ შეარჩინა ჩვენი ძმების, ჩვენი შვილებისა და დედების ცრემლი და სისხლი.



საბჭოთა ბომბდამშენები მიემართებიან საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად.

### „სამშობლო და გმირები“

სახელგამმა გამოსცა კრებული „სამშობლო და გმირები“. კრებული შესდგება ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია გალაქტიონ ტაბიძის — „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ალიო მაშაშვილის — „მყინვარი“, ლადო ასათიანის—„ჩემი სამშობლო“, გრ. აბაშიძის—„ციხე-ქალაქი“, ალიო მაშაშვილის—„მშობლიურო უკრაინა“. მეორე განყოფილებაში მოთავსებულია იოსებ გრიშაშვილის — „მეისტორიევ, წიგნი დახურე“, ირაკლი აბაშიძის — „კაპიტანი ბუხაიძე“, „ალექსანდრე კერესელიძე“, ალექსანდრე აბაშელის—„საბჭოთა კავშირის გმირს მიხეილ გახოკიძეს“, სიმონ ჩიქოვანის — „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“, გიორგი ლეონიძის—„ქართველ მხედრებს“, სოლომონ თავაძის—„ძმები გულივერდაშვილები“, იოსებ ნონეშვილის—„შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი“, გალაქტიონ ტაბიძის—„გმირს“, გიორგი ქუჩიშვილის — „თავისუფალ მთების შვილნო“, გიორგი კაჭახიძის—„გრიგოლ სულუხია“, ხარიტონ ვარდოშვილის — „გმირის სიკვდილი“, კარლო კალაძის — „ქართველ მეომრებს“, რევაზ მარგიანის — „ამხანაგი ჩანჩიბაძე“, კალე ბობოხიძის—„კაპიტანი არკადი გეგეშიძე“, ვასო გვეტაძის — „ლექსი ფრონტიდან“, მალხაზ ფარულავას—„საბჭოთა კავშირის გმირს ალექსანდრე პირმისაშვილს“.

კრებული შეიცავს 44 გვერდს და ღირს 2 მან. 50 კაპ.

### „ფაშიზმი კულტურის მტერია“

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო კონსტანტინე კაპანელის ნარკვევი — „ფაშიზმი კულტურის მტერია“. ბროშურა, რომელიც გამოცემულია სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორის მიერ, შემდეგ სამ თავს შეიცავს: „ფაშიზმი ტექნიკის და აზროვნების პროგრესის წინააღმდეგ“, „ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ“ და „ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხები ფაშისტურ გერმანიაში“.

ნარკვევის ავტორს მოჰყავს ფართო მკითხველი მასებისათვის დღემდე უცნობი მრავალი ფაქტი ფაშისტური იდეოლოგიის წარმოშობის შესახებ. შრომაში მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ ფაშისტური აზროვნების და ჰიტლერელთა სახელმწიფოებრივი პრაქტიკის ბარბაროსულ ხასიათსა და ველურობას. ეხება რა ჰიტლერელთა შეიარაღებულ ძალას, ავტორი შენიშნავს: „დღევანდელი ფაშისტური არმია შესდგება ყაჩაღებისაგან, რომელნიც სტკბებიან მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ტკივილებითა და ტანჯვით. იმ ქვეყნებში, რომლებიც ფაშისტებმა დაიმორჩილეს, დათარეშობენ ჯალათები დანებით, რევოლვერებით და შაშხანებით. იქ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის ხსნიან საროსკიპო სახლებს სკოლების შენობებში, ხოლო სკოლებსა და სამეცნიერო კვლევითი ხასიათის დაწესებულებებს ხურავენ. დიდ მეცნიერებს ხვრეტენ და ახრჩობენ. ფაშიზმი კულტურის განადგურებასა და სიკვდილს ნიშნავს!. ამ საშინელებას ებრძვის მთელი ენერგიითა და სიმამაცით წითელი არმია თავისი ბრძენი ხელმძღვანელის — დიდი **სტალინის** მეთაურობით“.

კ. კაპანელის წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 2 მან. 25 კაპ.

### „საბჭოთა ბავშვებს“

საბლიტგამმა გამოსცა მოზრდილთათვის კრებული „საბჭოთა ბავშვებს“. კრებულში მოთავსებულია ა. ტოლსტოის — „ფაშიზმი მოსპობილი იქნება“, ვანდა ვასილევსკაიას—„ჩემი სამშობლოს პატარა მოქალაქეს“, ს. მარშაკის—„იქ, სადაც იყვნენ მტრები“, „საბავშვო სახლი ელნაში“, იანკა კუპალას—„სახალხო ომზე“, ილია ერენბურგის — „უსათაურო“, ა. გაიდარის —„ხელი მოჰკიდე იარაღს, კომკავშირულო თაობავ“.

კრებული შეიცავს 48 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

### „ნობათი“

საბლიტგამმა გამოსცა „ნობათის“ პირველი კრებული. კრებულში მოთავსებულია ბ. ჟღენტის, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, დ. ლუკაშვილის, კ. კალაძის, კ. დევდარიანის, ი. ტატიშვილის, კავერინის, ლ. ასათიანის, პ. მერიმეს, შ. ალხაზიშვილის, პროფ. ს. კაკაბაძის, პროფ. დ. ლოლობერიძის და ს. ფაშალიშვილის სტატიები, მოთხრობები, ლექსები და ნარკვევები.

„ნობათის“ რედაქტორია დ. შენგელაია. კრებული შეიცავს 52 გვერდს და ღირს 6 მან.

## ალიო მაშაშვილის „ახალი ლექსები“

შალვა რადიანი

[illegible]

...ნია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. მაგრამ ეს გამარჯვება თავის თავად არ მოვა. მხოლოდ სიმტკიცით და თავდადებული ბრძოლით მიაღწევს საბჭოთა ხალხი მტრის დამარცხებას.

ალიო მაშაშვილი თავის ლექსებში [illegible]

...ზოგიერთი სხვა ნაწარმოები.

მთლიანად ალიო მაშაშვილის „ახალი ლექსების“ კრებული საინტერესოა, იგი მძლავრი პოეტური მოწოდებით ეხმაურება საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელ ომს.

## გაზაფხული მოდის

ალექსანდრე საჯაია

[illegible]

ძმებო, სახნისთან მახვილიც ვლესოთ,
ჭირნახულით რომ ვიხაროთ ჩქარა!
შენც ასე, ჩემო ხმალო და ლექსო, —
შენც გაზაფხულის ქუხილის გვარად!..

მალე თეთრ ჩოხას ჩაიცვამს ნუში,
აყვავილდება სოფელი მალე.
იქუხებს ღელე კორდების გულში
და ცა აანთებს ღვინისფერ თვალებს.

## დიდება ქართველ ვაჟკაცებს!

ვერა შუბლაძე

შეგერგოთ დედის ტკბილი რძე,
შეგერგოთ მისი ამაგი,
კვლავ დაგნათოდეთ პირიმზე,
ცა ფირუზ, ხმელეთ ნაქარგი.
კვლავ გახარებდეთ ველები,
სინაზე ჩანჩქერებისა
და კვლავ გალხენდეთ ნიავი,
გადმონაქროლი მთებისა.
თქვენ დაატეხეთ მტარვალებს
ბრძოლები ჯერ არნახული
და გაუხადეთ სამარედ
გაზაფხული და ზაფხული.
მთებიდან ბარში გაჰკივის
თქვენი დაკრული მახვილი,
ნაპრალებს იქით გაისმის
თქვენი გმირული ძახილი.
აღარ გედლებათ მარჯვენა,
ფაშისტებს ებრძვით კლდეგულნი,
ხანძარს მიეცით მტრის რისხვა,
ჩვენს მკერდზე მომიზნებული.
ამხედრდა თერგი ტალღებით,
დაცხრომას აღარ აპირებს,
გაშმაგებული ასკდება
მტრის სისხლით მორწყულ ნაპირებს.
ამხედრდა კავკასიონიც,
ამხედრებს ღრუბელთ იალქნებს,
და ბარბაროსთა ძვალ-ჩონჩხებს
ქარბუქში აფორიაქებს.
თქვენი ჭირიმე ბიჭებო,
ჭირიმე თქვენი ხმლებისა!
ყველას მიზანი ერთია—
განადგურება მტრებისა.
შეგერგოთ დედის ტკბილი რძე,
შეგერგოთ მისი ამაგი,
კვლავ დაგნათოდეთ პირიმზე
ცა ფირუზ, ხმელეთ ნაქარგი!



## ს. რახმანინოვი

[illegible]

...რას „ძუნწ რაინდს“ და „ფრანჩესკო დი რიმინის“, რომლებიც პირველად დასდგა 1906 წელს მოსკოვის დიდმა თეატრმა ავტორის დირიჟორობით.

რახმანინოვი ცნობილია, როგორც შესანიშნავი სიმფონიების ავტორი. მის მეორე სიმფონიას, რომელიც სხვაზე უფრო სრულად [illegible]

...ნინოვის პატრიოტობა, იგი სისტემატურად მართავდა კონცერტებს, აცნობდა რა უცხოელებს საბჭოთა კავშირის მუსიკალურ კულტურას. რახმანინოვის პოპულიარობის გამო ეს კონცერტები დიდძალ აუდიტორიას იზიდავდა და აძლიერებდა საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდს.

## „გიორგი სააკაძე“

„ფედერაციამ“ გამოსცა სანდრო შანშიაშვილის დრამატული პოემა „გიორგი სააკაძე“.

წიგნი შეიცავს 100 გვერდს და ღირს 13 მანეთი.

## მ. ბარათაშვილის ლექსების კითხვა

17 მარტს მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო პოეტ ქალ მარიკა ბარათაშვილის ლექსების კითხვა.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოსმენილი ლექსების გარშემო. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: ი. გრიშაშვილმა, რ. გვეტაძემ, ი. ვაკელმა, ა. საჯაიამ, პ. კეშელავამ, გ. ჩიქოვანმა და ბ. ჩხეიძემ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს მ. ბარათაშვილის ახალი ლექსების ღირსებები და ამავე დროს მისცეს ავტორს შენიშვნები. მ. ბარათაშვილმა გაიზიარა ამხანაგების შენიშვნები, რასაც წარმოდგენილი ლექსების ცალკე წიგნად გამოცემის დროს გავითვალისწინებთ.

## ფაქტები და შენიშვნები

სოლ. ყუბანეიშვილი

დავით რექტორს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მე-18 საუკუნის გასულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა შორის. ის იყო პოეტი, ბიბლიოგრაფი, მსახიობი, იშვიათი კალიგრაფი და ისტორიკოსი, რომელმაც თ. ბატონიშვილის ცნობით „საქართველოს ისტორია დიახ კარგად იცოდა და არამცთუ საქართველოისი, საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსი იყო“.

ერეკლე მეორისა და გიორგი მე-13 დროს დავითი იყო „ინსპექტორი და უპირველესი მოძღვარი საქართველოს სასწავლებელთა“ და თვითონაც „დიდი სასწავლებელი ჰქონდა გამართული კახეთს ქალაქსა შინა თელავს სამეუფოს პალატის ნაწილში“ (წ. კ. № 4794), რომელსაც ის რექტორობდა 1790-1800 წ. წ., ხოლო 1801 წ. დასაწყისში, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება, გაძევებული იქნა სემინარიიდან, თვითმპყრობელ რუსეთის მოხელეებისაგან.

დავით რექტორმა არაერთი და ორი საზოგადო მოღვაწე აღზარდა: „ჩემის ძმის დავითისა და ჩემი ფილოსოფიისა, ისტორიისა და ქართულის ენისა და წერისა მოძღვარი ის იყო“,—სწერდა თ. ბატონიშვილი დავითის შესახებ აკად. მ. ბროსეს 1834 წ.—ჩემი ძმა დავით ადრევე ბარებოდა მას, და როცა სწავლის დრო მომივიდა, მეც მას ვებარე და ის მასწავლიდაო“.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დავით რექტორის ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალფეროვანია და მეტად საყურადღებოც, ამიტომ ის სპეციალური შესწავლის ობიექტად უნდა გახდეს. ამჟამად კი ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მისი დაბადება-გარდაცვალების თარიღების საკითხი, რომელთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობა სუფევს.

**პლატონ იოსელიანის** აზრით, რომელიც მან 1858 წ. გამოსთქვა, დავითი გარდაიცვალა 1824 წ., 1867 წელს მან ეს მოსაზრება უარყო და დავითის გარდაცვალების თარიღად 1825 წელი აღიარა,[1] 1877 წ. ამავე საკითხს შეეხო **პეტრე უმიკაშვილიც**, მან აღნიშნა, რომ დავით რექტორი გარდაიცვალა 1827-1830 წლებს შუაო[2], ხოლო 1899 წელს **მოსე ჯანაშვილმა** დავითის გარდაცვალების თარიღად 1824 წელი უჩვენა[3]; დავითის გარდაცვალების თარიღს შეეხო 1901 წელს პროფ. **ალ. ხახანაშვილიც**, თავის წიგნში, „Очерки по историй груз. словестности“, вып. 3, ст. 284.

მასაც, პეტრე უმიკაშვილსავით, დავითის გარდაცვალების თარიღად 1827-1830 წ. აქვს ნაჩვენები, ხოლო შემდეგში მან ეს ციფრი უფრო დააზუსტა და დავითის გარდაცვალების თარიღად 1830 წელი მიიჩნია[4]. ეგევე წელი აქვს დავითის გარდაცვალების თარიღად ნაჩვენები პროფ. **ვ. ბერიძესაც**[5].

აზრთა ასეთი სხვადასხვაობა გამოწვეულია მით, რომ აღნიშნულ მკვლევარებს არ მოეპოვებოდათ ხელთ დოკუმენტური ცნობა საკითხის შესახებ.

ჩვენ გავსინჯეთ საქ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აღრიცხვის სამმართველოს არქივში დაცული დავთრები, და 1824 წლის დავთარში მართლადაც აღმოჩნდა დავითის გარდაცვალების შესახებ ცნობა, რომელიც შემდეგი სახითაა ჩაწერილი:

1. **მამათა სქესი:** 2
2. **რიცხვი სიკუდილისა დღისა:** 2
3. **ვინ მოკუდა სახელდობრივ და ვისგან დაიმარხა:** თუესა ნოემბერსა ტფილისში მცხოვრები აზნაური დავით ალექსიევი მოკვდა. დამარხა სამების ეკლესიის მღვდელმა სოლომონ აბრამოვმა.
4. **რავდენი წლისა იყო შობითგან:** 45
5 **რიცხვი დამარხვის დღისა:** 3
6. **რომლითა სნეულებითა გარდაცვალებულ არს:** ყელის ტკივილით.
7. **ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა წმიდათა საიდუმლოთა:** აღსარება ათქმევინა და აზიარა სამების ეკლესიის მღვდელმა სოლომონ აბრამოვმა (ფ. 75).

ამრიგად, აღნიშნული ცნობით, დავით რექტორი გარდაცვლილა თბილისში 1824 წლის ნოემბრის 2-ს ყელის ტკივილით. თბილისში საცხოვრებლად კი დავითი კახეთიდან წამოვიდა 1806 წ. თებერვალში და დამკვიდრდა ბინად ანჩისხატის კარის ბჭის ოთახში, სადაც დაულევია მას თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, უპატრონოს (მეუღლე, ახუა ხმალაძის ასული და შვილები კაცია და მარიამა ადრე გარდაცვალა), ძალზე სიღარიბეში და სნეულებაში მყოფს. დაუსაფლავებიათ ის, პ. იოსელიანის ცნობით, მთაწმინდაზე.

როდის უნდა დაბადებულიყო დავით რექტორი.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება თვით დავითის ორი ცნობა: 1802 წ. ივლისის 24-ს გენ. გულიაკოვმა დააპატიმრა დავით რექტორი კახეთის აჯანყების მოწყობაში მონაწილეობის მიღებისათვის. იმავე წლის 30 ივლისის ჩვენებაში დავითი ამბობს, რომ დაბადებიდან 39 წლისა ვარო (Акты 1 გვ. 373), მაშასადამე, დაბადებულა ის 1763 წელს. მაგრამ დავითის ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს. ჩვენამდის მოუღწევია დავით რექტორის წერილს ზესიკისადმი მიწერილს 1775 წ. 25 ოქტომბერს. (წ. კ. 105, გვ. 197-198), რომლიდანაც ჩანს, რომ დავითი ამ დროს უკვე მომწიფებული და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული პიროვნება ყოფილა, რაც შეუძლებელია ითქვას 12 წ. ყმაწვილზე.

ამავე მოსაზრებით, მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული მეტრიკის წიგნის ცნობაც, რომლის მიხედვითაც დავითი 1779 წ. გამოდის დაბადებული, რაკი ის 1824 წ. 45 წლისად არის ნაჩვენები. ამ შემთხვევაში მისაღებია შემდეგი გარემოებაც: მეტრიკის წიგნში ჩამწერი 4 და 7 ციფრს ზოგჯერ თითქმის ერთნაირად სწერს, რისთვისაც 45 ნაცვლად შეიძლება წაკითხულ იქნეს 75-ც, მაშინ კი დავითის დაბადება 1749 წ. მოდის. მაგრამ მეტრიკის ცნობა დავითის წლოვანობის შესახებ (75 იქნება ის თუ 45) სანდო არ არის, რადგანაც მისი აღმოცენება ზეპირგადმოცემის გზითაა მოსალოდნელი, ვინემ წერილობითი ცნობიდან. შეიძლება გვითხრან, ეს ცნობა თვით დავითმა მისცა მღვდელს აღსარების დროსო, მაგამ სათუოა მომაკვდავ დავითსაც ამ დროს ზუსტად გადმოეცა თავისი წლოვანობა. ყოველივე ამის გამო, არსებულ ცნობებს შორის ჩვენ უფრო სანდოდ მიგვაჩნია დავ. რექტორის მეორე ცნობა, რომელიც შემოუნახავს საქ. მუზ. წ. კ. ფ. ხელნაწერ № 105-ს.

ეს ხელნაწერი შეიცავს დავით რექტორის თხზულებათა კრებულს და გადაწერილია მისივე ხელით. ხელნაწერის მე-11 გვერდზე მოთავსებულია რექტორის „იამბიკო მეფისა ირაკლის შესხმად“, რომელსაც წამძღვარებული აქვს დავითის მიერ შემდეგი ცნობა: „როდესაც ღრამმატიკას ვკითხულობდი, დიაპატარაც ვიყავ და მაშინ დიდმა კათოლიკოსმა, მეფის იესეს ძემან ანტონი, მიბრძანა შესის უმაღლის მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო და მაშინ ჰვსთქვი, მე კეთილშობილმან ალექსის ძემან დავითმან, **რომელი ოთხმოცდა ხუთისა წლისა განვლისა ვიქმენ** სრულიად კახეთის სამეფოს რექტორად“-ო.

როგორც ერეკლე მეფის ბრძანებიდან ჩანს, დავითი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნულა 1790 წ. სექტემბერში (ნახ. ვ. ბერიძის დასახ. წერ. გვ. 316 შენ.), მაშასადამე, დაბადებულა დავითი 1745 წ. ეს თარიღი უფრო სანდოა, ვიდრე ზემო მოყვანილები. ამ თარიღს უახლოვდება პ. იოსელიანის ცნობაც. მას აღნიშნული აქვს. 1824 წ. დავითი 80 წ. იყოვო (ნახ. დას. წერ.), მაშასადამე, დაბადებულა ის 1744 წ.

ამრიგად, არსებული ცნობების მიხედვით, დავით რექტორის დაბადების თარიღად 1745 წ. უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო გარდაცვალების თარიღად 1824 წ. ნოემბრის 2.

*) Иоселиани П., Гора Св. Давида в Тифлисе, გვ. 7, ცხოვრება „გიორგი მეცამეტისა“ 1936 წ. გვ. 262.
2) „ივერია“ 1877 წ. № 39, გვ. 11.
3) **მ. ჯანაშვილი,** საქ. დედაქალაქი თბილისი. გვ. 172.
4) **ალ. ხახანაშვილი,** ქართ. სიტ. ისტორია, გვ. 429, 1919 წ.
5) **ვ. ბერიძე,** დავით რექტორი. უნივერსიტეტის შრომები № 1, გვ. 318.

## საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი პოეტი

მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 13 წლისთავის გამო

ვ. წულუკიძე

საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ სამამულო ომში ჩვენი პოეზია მიჰყვება მაიაკოვსკის კვალს. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა პოეზია, ისე, როგორც არასოდეს, გაიმსჭვალა საბრძოლო სულისკვეთებით, გახდა უაღრესად იდეური, პოლიტიკური მიზანსწრაფვით გაჟღენთილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა პოეზია უაღრესად ხალხური პოეზიაა, უმახვილესი იარაღია ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი რევოლუციური პოეზიის დროშა, რომელიც ამ 30 წლის წინათ აღმართა ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესმა პოეტმა მაიაკოვსკიმ, დღეს გერმანელ ფაშისტებთან გამძაფრებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დღეებში მაგრად და ამაყად უჭირავს ხელში საბჭოთა პოეტების მრავალრიცხოვან პლეადას.

მთელი თავისი შემოქმედებით მაიაკოვსკი ანსახიერებს ბრწყინვალე რუსული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. უფრო მეტი: მაიაკოვსკი არის ღირსეული მემკვიდრე მსოფლიო რევოლუციური პოეზიის იმ ბუმბერაზ წარმომადგენელთა, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით იბრძოდნენ მასების კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის. ომის წინადროინდელ რუსულ პოეზიაში მაიაკოვსკი იყო ერთ-ერთი პოეტების იმ მცირერიცხოვან ბანაკიდან, რომელმაც აღიმაღლა ხმა კაპიტალიზმის, იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. ხალხის მტრების მომაკვდინებელი და გულგამგმირავი მისი პირველი ლექსები განაგრძობენ ჰაინესა და ნეკრასოვის რევოლუციურ-პოლიტიკური პოეზიის ტრადიციებს.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე მაიაკოვსკი გახდა ბოლშევიკური ბარიკადების პოეტი. მთელი თავისი დიდი ნიჭი მან მოახმარა რევოლუციის მტრებთან, ბურჟუაზიისა და ჭემამულეების კირთებისაგან განთავისუფლებულ სამშობლოს მტრებთან ბრძოლის საქმეს. მაიაკოვსკის ლექსით მიდიოდნენ იერიშზე ზამთრის სასახლის ასაღებად სახელოვანი მეზღვაურები, მაიაკოვსკის ლექსი ამხნევებდა და ენტუზიაზმს მატებდა ინტერვენციის წინააღმდეგ მებრძოლ ჩვენს ძმებსა და მამებს. დღემდე შერჩა სიცხოველე, სიმახვილე და სიმწვავე იმ მრავალ ათას სტრიქონს, რომელიც მაიაკოვსკიმ დაწერა „როსტა“-ში მუშაობის დროს და რომელიც თავისი მგზნებარე პათოსით რაზმავდა და ამჭიდროვებდა საბჭოთა ქვეყნის პატრიოტთა რიგებს ოქტომბრის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. გულის სიღრმემდე გვწვდება და დღემდე გვაღელვებს ლეგიონებად ჩარაზმული მისი „წიგნაკების ყველა ასი ტომი“, რომლებიც მაიაკოვსკიმ მიუძღვნა საბჭოთა ხალხის მიერ სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მასების იდეურ-კულტურულ ზრდისათვის, საბჭოთა მოქალაქეების შეგნებასა და ყოფაცხოვრებაში სოციალიზმის დანერგვისათვის წარმოებულ ყოველდღიურ კონკრეტულ ბრძოლას.

პატრიოტულ-რევოლუციური პოეზიის უმშვენიერეს უკვნობ ძეგლად რჩება თავისი მოფიქრებით გრანდიოზული ეპოპეა,—**ლენინისადმი** მიძღვნილი პოემა. ოქტომბრის შემდეგ მაიაკოვსკის მიერ შექმნილი თითქმის ყოველი პოემა, ყოველი ლექსი, ყოველი პიესა განათებულია სოციალიზმის გამარჯვების, კომუნიზმის ძლევამოსილების მგზნებარე იდეით. ეს იდეა აგვირგვინებს მის უკანასკნელ პოეტურ სიტყვას: „დე, ჩვენს საერთო ძეგლად გვქონდეს დიად ბრძოლებში აგებული სოციალიზმი“. უმაღლესი უანგარობა, თავისი პოეტური საქმისა და დანიშნულების მხურვალე რწმენა, ერთგულება და თავდადება ხალხისა, სამშობლოსა და პარტიისათვის,—აი ის მაღალი თვისებები, რომლებიც აყენებენ მაიაკოვსკის უკეთილშობილეს პოეტებს შორის მსოფლიო პოეზიაში.

„ერთი პაპით კაზაკს, მეორეთი—ზაპაროჟელს, ხოლო დაბადებით ქართველს“ მაიაკოვსკის უყვარდა თავისი სამშობლო ღრმად, თავდავიწყებით, მხურვალე სიყვარულით. იგი მთელი თავისი გულით შეჰხაროდა თავის სამშობლოს ბედნიერ აწმყოს, შესტრფოდა და უმღეროდა მის მომავალ ბედნიერებას. იმავე დროს დიდად აფასებდა და პატივს სცემდა თავისი ქვეყნის სახელოვან წარსულს. მას მთელი სიმწვავით ეზიზღებოდა და სძულდა ყველა ის, ვინც წინად სჩაგრავდა მის დიდ ქვეყანას, ვინც სულს უხუთავდა და გასაქანს არ აძლევდა მის მშობელ ხალხს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ პოეტს ისეთი აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით არ უმღერია სოციალისტური სამშობლოსათვის, საბჭოთა აყვავებულ მიწა-წყლისათვის, როგორც უმღერა მას მაიაკოვსკიმ თავის შესანიშნავ პოემაში „კარგია“. ამ პოემის ყოველი სტრიქონი დაწერილია მხურვალე გრძნობით, სიამაყის გრძნობით, რომელიც პოეტში აღუძრავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგიით აყვავებულს მშობლიურ მიწა-წყალს, ეს სტრიქონები როგორც შინაარსით, ისე ბრწყინვალე ფორმით საუკეთესოა იმ ლექსებს შორის, რომელიც კი დაუწერიათ ჩვენი ქვეყნის პოეტებს თავიანთ სამშობლოზე.

მაიაკოვსკის პატრიოტიზმი ახალი ადამიანის პატრიოტიზმია. ეს არის სიყვარული საკუთარი სისხლით მოპოვებული, საკუთარი ოფლით მორწყული მიწა-წყლისადმი, ეს არის პატრიოტიზმი მრისხანე ბრძოლებში და უამრავ გაჭირვებაში წარმოშობილი, ეს არის პატრიოტიზმი მრისხანე, განმტკიცებული სიძულვილით დამპყრობელთადმი და ღვიძლი შვილის სიყვარულით იმ მიწისადმი, „რომელთან ერთად მეც ვშიმშილობდი“, სამოქალაქო ომის წლებში და პოეტი თავის ლექსების საუკეთესო სტრიქონებში მოუწოდებს თანამემამულეებს დაიცვან ეს მიწა-წყალი რევოლუციის მთელი ძალებით, ადამიანის მთელი შესაძლებლობით.

მაიაკოვსკის მთელი შემოქმედება რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი ქვეყნის პოეტური დღიურია, რომელიც გამოხატავს ახალი ქვეყნის პატრიოტთა უკეთილშობილეს გრძნობებს. ასეთ დღიურად მაიაკოვსკის პოეზია გადაიქცა იმიტომ, რომ იგი სწერდა მხოლოდ იმაზე, რაც მას აღელვებდა. ის ვერ ურიგდებოდა, ის მთელი სიმძაფრით ებრძოდა ყოველსავე იმას, რაც ჩრდილს ჰფენდა მისი ქვეყნის ნათელ დღეებს, რაც ასუსტებდა მისი სამშობლოს ძლიერებას. მუდამ დღე იგი თანამემამულეებს მოუწოდებდა—ყოფილიყვნენ ფხიზელნი, მუდამ მზად ჰქონოდათ თოფის წამალი. ამიტომ არის, რომ მის ლექსებს დღემდე შერჩათ სიცხოველე, სისალე. ისინი დღესაც ისე აქტუალური და მახვილნი არიან, რომ გგონია ამ ლექსების სტრიქონებზე ჯერ კიდევ მელანი არც კი შემშრალაო. მაიაკოვსკის ლექსები დღესაც ისეთი შეუპოვრობით იბრძვიან, როგორც ისინი იბრძოდნენ მისი დაწერის დღეებში.

სასიხარულო ის არის, რომ დღეს მაიაკოვსკი მარტო როდი იბრძვის, მას გვერდით უდგანან მისი პოეზიის უკვდავ ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა პოეტები, რომელთა მიერ შექმნილი პოემები, სიმღერები, ძლიერი მარშები საბრძოლო სულისკვეთებას უძლიერებენ და მხნეობას მატებენ ჰიტლერელთა გასანადგურებლად შეუდრეკად მებრძოლ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის უდრეკ მეომრებს.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ამ ნომრიდან ეღირება 50 კაპ.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 0182